წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N8

ქ.წალენჯიხა 25 აპრილი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, ავთანდილ გაბელია,დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია,ივერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, კახაბერ ციმინტია

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები გიორგი ლუკავა და თენგიზ ფიფია, გამგებლის წარმომადგენელი ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯონი კაკაჩია, სამესხიოს უბნის მცხოვრებლები: შალვა კაკაჩია,ზურაბ კაკაჩია, ალეკო კაკაჩია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების და საზოგადოების წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 16:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 16:50 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.
კენჭისყრის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა : ა. გაბელიამ, ე. მესხიამ და დ. ბელქანიამ სხდომათა დარბაზი დატოვეს

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თ.ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N 19).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 25 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **ზაურ სამუშია** – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2.ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ფორმების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შევსებისა და წარმოების, მათი აღრიცხვის ჟურნალის და გამოსაქვეყნებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერის აქტის ფორმების შესახებ

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თენგიზ ფიფია** მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ", წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თენგიზ ფიფია** მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N2 საჯარო სკოლისათვის თემურ ფიფიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **ვლადიმერ გაბელია**-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5.სამესხიოს დასახლების საერთო კრების მიერ წარმოდგენილი პეტიციის თაობაზე.

მომხსენებელი: **ანზორ ფიფია**-სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

6.სხვადასხვა.

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით

პროექტის წარმომდგენი: **ზაურ სამუშია** – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი

მოისმინეს: 1 .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ სამუშიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა. კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს წევრმა , ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის '' თავმჯდომარემ ავთანდილ გაბელიამ.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი - 3 , მარინა კალანდია, კახაბერ ციმინტია, ელგუჯა მესხია)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N20) .

მოისმინეს: 2 .ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ფორმების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შევსებისა და წარმოების, მათი აღრიცხვის ჟურნალის და გამოსაქვეყნებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერის აქტის ფორმების შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თენგზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)

მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 9)

მოისმინეს 3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ", წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თენგზ ფიფიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)
მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 10)

მოისმინეს 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N2 საჯარო სკოლისათვის თემურ ფიფიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)
მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 21) .

მოისმინეს: 5 .სამესხიოს დასახლების საერთო კრების მიერ წარმოდგენილი პეტიციის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ანზორ ფიფიამ, მან საკრებულოს წევრებს დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკითხთან დაკავშირებით სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა და პეტიციის განხილვის შესახებ მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, აქვე დაამატა, რომ „სამესხიოს დასახლების საერთო კრების მიერ წარმოდგენილი პეტიციის - სამესხიოს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფის- პროექტის განხორციელებით გაუმჯობესდება სამესხიოს უბნის 30-მდე მოსახლის ყოველდღიური ცხოვრების დონე, გამომდინარე აქედან მიზანშეწონილია პროექტის გათვალისწინება მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებისას ან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიან პრიორიოტეტების დოკუმენტში ასახვა".
აზრი გამოთქვეს:მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ფარცვანიამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომას დამატებით წარუდგინა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ საკითხი გათვალისწინებული იქნება მომავალი 2018 წლის ბიუჯეტში.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.)
მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 22) .

მოისმინეს 6. სხვადასხვა.

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ სამუშიამ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულება ნაზარდი ჯამით, საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თ.ღვინჯილია

საქართველოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
COUNCIL OF TSALENJIKHA MUNICIPALITY
GEORGIA
* 242739248 *